სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის

2023 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის

**შეფასების შედეგები**

სისხლის სამართლის აკადემიური დეპარტამენტი

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი N3 19.04.2024წ

<table>
<tr><td>სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კრიტერიმები(კომპონენტები)</td><td colspan="2">სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება,რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="4">პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლებითი პროექტები</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="4">შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="4">პატენტები</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td>ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები)<br>ი. გაბისონია, ჯ.გახოკიძე, დ. ნარმანია, ჯ.გაბელია, ი.ხუციშვილი, თ.დარსანია, ი.მინაშვილი, თ.ზარამია, მ.ჭანტურია „სატრანსპორტო სამართალი“, ISBN 978-9941-34-225-7.<br>გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2023;2. 822 გვ.</td><td colspan="2">ანალიზი<br>„სატრანსპორტო სამართალი“ ბოლო პერიოდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია სამართლის დოგმატიკაში. აქ თავმოყრილია სამართლის თითქმის ყველა დარგის მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და უახლესი სამეცნიერო შეხედულებები სატრანსპორტო სამართლის სფეროში. ნაშრომი გამოირჩევა მასში განხილული თემატიკის დეტალურობით და სრულყოფილი წარმოჩენით. თემატიკა ვრცელია და შეიცავს ტრანსპორტის ცნებას, სახეებს, განვითარების მოკლე ისტორიას, საქართველოს სატრანსპორტო გზების ისტორიული ექსკურსს და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გეოეკონომიკურ ასპექტებს. ასევე ტრანსპორტისა და</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სახელმწიფო რეგულირებას საქართველოში. ავტორებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი მიმართულებები და ასპექტები ტრანსპორტის სფეროში, აქვე განხილულია ევროპის სატრანსპორტო პოლიტიკა. საფუძვლიანადაა შესწავლილი სატრანსპორტო სფეროში ჩადენილ ქმედებათა გამოძიებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების აქტუალური საკითხები. ჩამოყალიბებულია სატრანსპორტო დანაშაულის ცნება და ნიშნები, შესწავლილია სატრანსპორტო დანაშაული უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. განხილულია აქტუალური პრობლემური შემთხვევები. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ სატრანსპორტო დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე; წარმოდგენილია სატრანსპორტო დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი და საპროცესო მოქმედებათა თავისებურებები; ყურადრება გამახვილებულია საავტომობილო გზებზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების ანალიზზე, მათი დინამიკური ასპექტების, ტენდენციების განხილვით. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში მოყვანილია სარტრანსპორტო დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი. ასევე შესწავლილია ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ისტორიული ეტაპები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეები, მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და მომსახურების მახასიათებლები. მნიშვნელოვანია დანარტების არსებობა ნაშრომში, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის წამოწეულ თემებს დასახულ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის საშუალებებს. |
| | **რეკომენდაციები**<br>წიგნი „სატრანსპორტო სამართალი“-ს საფუძველზე შემუშავდეს სილაბუსი სამაგისტრო სწავლების დონეზე და დაინერგოს სასწავლო დისციპლინა შესაბამისი სახელწოდებით, გაგრძელდეს მუშაობა წარმოდგენილი ნაშრომის დებულებების პრაქტიკული ასპექტების დანერგვის მხრივ |
| | შეფასება \| <u>დადებითი</u><br>წიგნი „სატრანსპორტო სამართალი“ უნდა |

| | |
|---|---|
| | შეფასდეს დადებითად, როგორც მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე სასწავლო პოტენციალის მხრივ<br>უარყოფითი |
| *ჯემალ ჯანაშია, შენგელი ფიცხელაური „ნარკოდანაშაულის გამოვლენის, გამოძიების და პრევენციის მეთოდოლოგია“. ISBN 97899413438*<br>*თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“*<br>*550 გვ.* | ანალიზი<br>ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მის დსამზადებლად საჭირო პრეკურსორების უკანონო ბრუნვის და გამოყენების მასშტაბების ზრდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობასთან, ეთნიკურ კომფლიქტებთან, სამართლებრივი სისტემების დაბალ დონესთან და ხშირად სამართალდაცვითი სტრუქტურების არაეფექტურ მუშაობასთან. ნაშრომში მოყვანილია უკანასკნელი წლების მონაცემები - არ კლებულობს ოპიუმის ყაყაჩოს, კოკას ბუჩქის პროდუქტების (ოპიუმის, მორფინის, ჰეროინის, კოკაინის) უკანონო ბრუნვის მასშტაბები, ხოლო კანაბისის პლანტაციების ფართობების გავრცელების მასშტაბები ადრიდელ მონაცემებს აღემატება. ნაშრომში ვრცლადაა განხილული ნარკოტიკების უკანონო მოხმარების შედეგები, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მხრივ, ასევე სოციალური ურთიერთობების და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მხრივ. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და მექანიზმები ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის ორგანიზებული დანაშაულის აღმოფხვრის პერსპექტივებზე. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში ვრცლადაა გადმოცემული ამ დანაშაულის შესამცირებლად გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები, ჩამოყალიბებულია კონკრეტული წინადადებები.<br>რეკომენდაციები<br>მონოგრაფიის მაღალი მეცნიერული ხარისხის და მასში განხილული პრობლემური საკითხების სისხლის სამართლის დოგმატური და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია ის ძირითადი ლიტერატურის სახით შეტანილ იქნეს |

| | |
|---|---|
| | მაგისტრატურის საფეხურის სილაბუსში. ასევე მოეწყოს ლექცია/შეხვედრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან დასმული აქტუალური საკითხების გასაცნობად. გაგრძელდეს მუშაობა წარმოდგენილი ნაშრომის დებულებების პრაქტიკული ასპექტების დანერგვის მხრივ<br><br>**შეფასება**<br><br>**<u>დადებითი</u>**<br>მონოგრაფია „ნარკოდანაშაულის გამოვლენის, გამოძიების და პრევენციის მეთოდოლოგია“ იმსახურებს უაღრესად დადებით შეფასებას, რადგან მასში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ნარკოტიკების პრობლემებთან დაკავშირებული და მომიჯნავე საკითხები მოყვანილია მათი გადაწყვეტისათვის საჭირო რეკომენდაციები. მოცემული მონოგრაფია, დაეხმარება, პირველ რიგში პრაქტიკოს მუშაკებს, ნარკოტიკების პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებს, პედაგოგებს და სტუდენტებს.<br><br>**უარყოფითი** |
| *შოთა ფაფიაშვილი*<br>*თაღლითები ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა. ISBN 978-9941-34-330-8*<br>*თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“*<br>*106 გვ.* | **ანალიზი**<br>ნაშრომში გამოკვლეული და გადმოცემულია თაღლითობით ჩადენილი დანააული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის, თაღლითობის კრიმინალისტიკური დახასიათების და ლიტერატურული ნაწარმოებების სახით. ავტორს ფართოდ აქვს გაშუქებული დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის ზოგადთეორიული მოძღვრება; თაღლითობის იურიდიული შემადგენლობა და კვალიფიკაციის პრობლემები, მრავალმხრივ გაშუქებულია თაღლითობის ჩადენის ხერხები და მეთოდები. ავტორის მიერ ნაშრომში გაშუქებულია აგრეთვე თაღლთობის რამოდენიმე დეტექტიური მოთხრობა<br><br>რეკომენდაციები<br>ნაშრომში წამოწეული თაღლითობით ჩადენილი დანაშაულის იურიდიული ბუნების, კვალიფიკაციის, გამოძიების წარმართვის და გახსნის პრობლემური საკითხები მნიშვნელოვანია სწავლების კუთხით ამიტომაც კარგი იქნებოდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის დანაშაულის სხვა სახეები სილაბუსში შეტანილ იქნეს დამატებითი ლიტერატურის სახით, ასევე |

| | | |
|---|---|---|
| | | ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების და გახსნის თერიულ და პრაქტიკულ კურსებში. |
| | შეფასება | **<u>დადებითი</u>**<br>ნაშრომი შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე წარმოჩენილი საკითხები უაღრესად აქტუალურია და გააჩნია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა |
| | | უარყოფითი |
| *ირაკლი მინაშვილი*<br>*ციფრული დანაშაულის გამოძიების ტექნიკა და მეთოდიკა ISBN – 978-9941-25-700-1*<br>*თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“*<br>*231 გვ.* | ანალიზი<br>ნაშრომი „ციფრული დანაშაულის გამოძიების ტექნიკა და მეთოდიკა“ აღსანიშნავია, რომ არის ინოვაციური, ვინაიდან წარმოდგენილია ორი — იურიდიული და კომპიუტერული მეცნიერებების კუთხით. მოყვანილია მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების ანალიზი და აღნიშნული დარგების თვალსაზრისით პრაქტიკული ცოდნის მოცულობითი განხილვა. ნაშრომში მოყვანილია ციფრული დანაშაულის ცნება, ტერმინოლოგიური საკითხები, ციფრულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი რეგულაციები, ციფრული დანაშაულის გამოძიების ტექნიკა და მეთოდიკა, აქ ავტორი ეხება ციფრულ მტკიცებულებებს მათი ამოღების, გამოთხოვის, ინფორმაციის დათვალიერების მეთოდიკას და ტექნიკას. საუნტერესოდაა წამოჩენილი ექსპერტიზის და რაც მნიშვნელოვანია საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისატვის საჭირო კონპიუტერის ფუნქციური კლავიშები. ნაშრმს თვალსაჩინოებისთვის ერთვის საპროცესო/საგამოძიებო დოკუმენტების ნიმუშები. | |
| | რეკომენდაციები<br>ნაშრომი მასში განხილული აქტუალური და ფრიად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია სსწავლო პროგრამებისათვის, როგორც ბაკალავრების, ასევე მაგისტრებისა და დოქტორანტურის დონეზე. მისი გამოყენება ასევე სასარგებლო იქნება ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურის მუშაკებისათვის, რომლებიც იძიებენ ციფრულ დანაშაულს. | |
| | შეფასება | **<u>დადებითი</u>**<br>ნაშრომი „ციფრული დანაშაულის გამოძიების ტექნიკა და მეთოდიკა“ უდავოდ პასუხობს დროის მოთხოვნებს და მას არამხოლოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს არამედ |

| | | |
|---|---|---|
| | | სავსებით შესაძლებელია სახელმძღვანელოდ იქნეს გამოყენებული საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების, კერძოდ, კიბერტერორიზმისა და ციფრულ დანაშაულთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების განხილვისა და შედგენისათვის. |
| | | უარყოფითი |
| *ირაკლი გაბისონია, ვაჟა პაპასკირი, ჯემალ გაბელია, მურმან თავდიშვილი, დავით ხუფენია „ქართული სასამართლო და პოლიტიკური მჭერმეტყველება“ ISBN 9789941342202 თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 695 გვ.* | ანალიზი<br>წარმოდგენილი პოლიტიკური და სამართლის მჭევრმეტყველების ქრესტომათია შეიქმნა კულტუროლოგიის მეცნიერებათა, სისხლის, საჯარო და კერძო სამართლის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტებისა და მეცნიერების ურთიერთანამშრომლობით. ნაშრომში ზედმიწევნითაა შერჩეული და წარმოდგენილი მჭევრმეტყველების სანიმუშო სიტყვები. წარმოდგენილი მასალა უმნიშვნელოვანესია, როგორც საქართველოს განვითარებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ისტორიულ გზაზე, ასევე სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტებით. ქრესტომათიული კრებული აერთიანებს თეორიულ, პრაქტიკულ და სალექსიკონო-განმარტებით მასალებს. ნაშრომის მიზანია ფართო მასებს წარუდგინოს მჭერმეტყველების საუკეთესო ნიმუშები. | |
| | რეკომენდაციები<br>სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებს აქამდე არა ჰქონიათ სანიმუშო ორატორული ტექსტები, რომელთა მიხედვითაც გაშლიდნენ თავიანთ სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობას. აღნიშნული კუთხით, კრებული გამოადგება არა მარტო სტუდენტებს, არამედ პრაქტიკოს იურისტებს და დიპლომატებს, ასევე ნებისმიერ მოქალაქეს. | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u><br>„ქართული სასამართლო და პოლიტიკური მჭერმეტყველება“ მიეკუთვნება იშვიათ ნაშრომებს თავისი შინაარსით და აგებულებით. ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა ასეთი სახელმძღვანელოს გამოსვლა რადგან მასში გადმოცემულია მოვლენები რაც |

| | | |
|---|---|---|
| | | ეპოქალურ გავლენას ახდენს ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე |
| | | უარყოფითი |

| | | |
|---|---|---|
| *შოთა ფაფიაშვილი სისხლის საპროცესო სამართალი, ზოგადი ნაწილი, ლექციების კურსი.*<br>*ISBN 978-9941-34-283-7*<br>*თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“*<br>*217 გვ.* | **ანალიზი**<br>ლექციების კურსი შედგება ათი თავისა და ორმოცდათორმეტი პარაგრაფისაგან. ნაშრომში გამოკვლეული და გადმოცემულია სისხლის საპროცესო სამართლის საგნის ცნება, მისი არსი, მნიშვნელობა და სხვა ძირითადი საკითხები ზოგად თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებში. დასაბუთებულია დასათაურების შეცვლის აუცილებლობა „სისხლის საპროცესო სამართლის“ სახელწოდებით. გამოკვლეული და გადმოცემულია საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორიული მიმოხილვა შედარებითი კვლევის ხერხების გამოყენებით. ლექციების კურსში ყველა საკითხი განხილული, გამოკვლეული და გადმოცემულია საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით. სისხლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა - გაუმჯობესების მიზნით ნაშრომში გამოთქმული და ჩამოყალიბებული ა გარკვეული მოსაზრებები. | |
| | **რეკომენდაციები**<br>ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ. წიგნი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობით დადგენილ საგამოძიებო - სასამართლო ორგანოების წარმომადგენელ სუბიექტებს თავიანთი საქმიანობის სწორად წარმართვაში. | |
| | შეფასება | **დადებითი**<br>სისხლის საპროცესო სამართალი, ზოგადი ნაწილი, ლექციების კურსი. გამოირჩევა ყოველი საკითხის ზედმიწევნით გადმოცემით და ანალიზით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს სასწავლო სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას. გადმოცემულია სტუდენტის სწავლებაზე |

| | | |
|---|---|---|
| | | ორიენტირებული ფორმით და სტრუქტურით. ნაშრომი აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო გეგმებში. |
| | | უარყოფითი |
| *ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია „უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“ ISSN 1512-1305 საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“. 18(20) თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 9 გვ.* | ანალიზი<br>სტატიაში გაანალიზებულია პრევენციული პოლიტიკის კონცეფცია, მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სისხლის სამართლის დანაშაულების პრევენციის საქმეში. გამოკვლეულია საქართველოში არსებული პრევენციული პოლიტიკა, მისი გამოვლინებები და პრობლემები, არსებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში. შესწავლილია, სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს როლი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში, რაც ხაზს უსვამს უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის აუცილებლობას. გარდა ამისა, სტატიაში მოცემულია საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესების პოტენციური სფეროები, როგორიცაა პრევენციული ღონისძიებების სფეროს გაფართოება, მათი განხორციელების სამართლებრივი ბაზის გარკვევა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის გაზრდა. | |
| | რეკომენდაციები<br>სტატია „უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“ დააინტერესებს როგორც სამართლის ასევე პოლიტიკის მეცნიერებებით დაინტერესებულ პირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სასწავლო პროოცესში გამოყენება და მასში ასახული დებულებების სტუდენტებისათვის გაცნობა სწავლების სამივე საფეხურზე | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u><br>სტატია „უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“ პასუხობს მეცნიერული კვლევის ტანამედროვე მოთხოვნებს წამოყენებული პრობლემები აქტუალურია მათი გადაჭრის წარმოდგენილი ხერხები კი ლოგიკური და ეფექტური |
| | | უარყოფითი |

| | |
|---|---|
| *ჯემალ გაბელია*<br>*„სამხრეთ კავკასიის რეგიონი: ეთნო - პოლიტიკური კონფლიქტები და თანამედროვე გამოწვევები“ ISSN 2449-2701 ჟურნალი „იურისტი“*<br>*თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.*<br>*9 გვ.* | **ანალიზი**<br>სტატიაში განხილულია პრევენციული პოლიტიკის საკითხები საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობაში. გაანალიზებულია პრევენციული პოლიტიკის კონცეფცია, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კუთხით. თანამედროვე გამოწვევების პრევენცია და მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სისხლის სამართლის დანაშაულების აღმოფხვრის საქმეში. ნაშრომში განხილულია არსებული პრევენციული პოლიტიკა მოქმედების მექანიზმები და წარმოქმნილი პრობლემები, მოქმედი კანონმდებლობის ფონზე. შესწავლილია, და ხაზგასმულია უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია, როგორც აუცილებელი პირობა პრევენციული ღონისძიებების გატარების სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს მხრიდან. სტატიაში მოყვანილია კანკნმდებლობის სრულყოფის პერსპექტიული მიმართულებები პრევენციული ღონისძიებების გაფართოების, სამართლებრივი ბაზის გარკვევის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის გაზრდის სახით.<br>**რეკომენდაციები**<br>სტატია „სამხრეთ კავკასიის რეგიონი: ეთნო - პოლიტიკური კონფლიქტები და თანამედროვე გამოწვევები“ საინტერესოა კვლის პერსპექტიული პოტენციალით. ასევე სწავლების პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ლიტერატურის სახით სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებებზე<br>**შეფასება**<br>**<u>დადებითი</u>**<br>სტატია „სამხრეთ კავკასიის რეგიონი: ეთნო - პოლიტიკური კონფლიქტები და თანამედროვე გამოწვევები“ უაღრესად საინტერესო და მეცნიერული კუთხით აქტუალურია ზუსტად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს სამართლის და პოლიტიკის ასევე მათი ურთიერთშეხების სფეროში დასმული საკითხები კი აქტუალური და საყურადღებოა<br>**უარყოფითი** |

*ჯემალ გაბელია, ლია ნახუცრიშვილი*
*„დანაშაულობის პრევენციის აქტუალური საკითხები“ ISSN 1512-3804*
*ჟურნალი „კრიმინოლოგი“*
*თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.*
*7 გვ.*

ანალიზი

სტატიაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განხილულია პრევენციული პოლიტიკის აქტუალური საკითხები. გაანალიზებულია პრევენციული პოლიტიკის მნიშვნელობა, კონცეფცია, განვიტარების პერსპექტივები, ასევე მისი მნიშვნელობა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დანაშაულების პრევენციის მნიშვნელოვან საქმეში. ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოში არსებული პრევენციული პოლიტიკა, მისი გამოვლინებები და წამოჭრილი პრობლემები, არსებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში. შესწავლილია, სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს როლი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში, რაც ხაზს უსვამს უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის აუცილებლობას. სტატიაში ასევე მოცემულია საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესების პოტენციური მიმართულებები, პრევენციული ღონისძიებების სფეროს გაფართოების სახით, მათი განხორციელების სამართლებრივი ბაზის გარკვევა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის გაზრდის ფორმით.

რეკომენდაციები

სტატია „დანაშაულობის პრევენციის აქტუალური საკითხები“ საინტერესოა, როგორც სწავლების კუთხით ასევე სამართლის სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის. მნიშვენოლოვანია გაგრძელდეს კვლევა ამ კუთხით ხოლო სტატიაში წამოჭრილი პრობლემური საკითხები ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისათვის

| შეფასება | <u>დადებითი</u><br>სტატია უნდა შეფასდეს დადებითად, მასში წამოჭრილი საკითხები საინტერესო და აქტუალურია. მკაფიოდ არის წამოყენებული პრობლემური საკითხები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის მეცნიერული მექანიზმები |
|---|---|
| | უარყოფითი |

<table>
<tr>
<td rowspan="4">ჯემალ ჯანაშია „ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგად პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებული პრობლემები“, ISSN 1512-1305, საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“. 18(20) თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 11 გვ.</td>
<td colspan="2">ანალიზი<br>ნარკოტიკი უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ზოგადსაკაცობრიო პრობლემად იქცა, რადგან რამოდენიმე ასეული მილიონი ადამიანი მიაჯაჭვა ამ საზიანო ჩვევას. სახელმწიფო და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ვალდებულია ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამინებს გაუწიოს დახმარება. შექმნას მკურნალობის სისტემები, შემდგომი რეაბილიტაციის პირობები და სხვა მექანიზმები, ეს კი ძალიან ძვირად ღირებული მომსახურებაა. მსოფლიო თანამეგობრობამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების პრევენციას და მისი მეცნიერული საფუძვლების შექმნას. ავტორი ნარკოიკული დანაშაულის პრევენციას აყენებს პირველ ადგილზე რადგან დანაშაულის ტავიდან აცილება უფრო მნიშვნელოვანი და საზოგადოებისათვის მისაღებია ვიდრე პოსტკრიმინალური დასჯა. სტატიაში წამოყენებულია მოსაზრებებს ნარკომანიის ქმედითი პრევენციის საკითხებზე, მოყვანილია კონკრეტული წინადადებები და პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმები.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">რეკომენდაციები<br>სტატიის მაღალი მეცნიერული დონიდან გამომდინარე ასევე აქტუალური საკითხების განხილვის ფონზე კარგი იქნებოდა შეტანილი იყოს შესაბამის სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის სახით ასევე გაგრძელდეს მუშაობა ამ თემების მეცნიერული შესწავლის კუთხით</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">შეფასება</td>
<td><u>დადებითი</u><br>სტატია საინტერესოა თეორიული და პრაქტიკული კუთხით წამოჭრილი საკითხები აქტუალურია და შეესაბამება თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებს გამოირჩევა საინტერესო თხრობით და გადმოცემის ფორმით, პრობლემის დაყენების დაგადაჭრის მაღალი დონით.</td>
</tr>
<tr>
<td>უარყოფითი</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td rowspan="3">ჯემალ ჯანაშია „ნარკოტიკულს საშუალებათა საკონტროლო ოპერატიული შესყიდვა, მეთოდოლოგია და საერთა შორისო პრაქტიკა“. ISSN 1512-1305, საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“.№18(20). თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.<br>8 გვ.</td>
<td colspan="2">ანალიზი<br>სტატიაში ავტორი ეყრდნობა გაეროს, მისი ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის (UNDOC) და სხვა სტუქტურების, ასევე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მოთხოვნას, რომ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათ დასამზადებლად საჭირო პრეკურსორების და უკვე მზა ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტის და მომხმარებელთან მიწოდების აღსაკვეთად საჭიროა პროაქტიური ღონისძიებების ინტენსივობა კიდევ უნდა გაძლიერდეს. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურმა სამსახურებმა, საბაჟო და სასაზღვრო დანაყოფებმა უნდა შეიმუშავონ და იმოქმედონ თანამედროვე მიდგომებით და მეთოდებით, რათა მუდმივად სრულყონ ოპერატიულ-სამძებრო ოპერაციები და ხშირად გამოიყენონ ისეთი ნოვატორული ტაქტიკები, როგორიცაა: ნარკოტიკების „ოპერატიული საკონტროლო შესყიდვა“, „კონტროლირებადი მიწოდება“. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში მოქმედი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ განხირცუელდეს პროაქტიური ოპერატიულ-სამძებრო და ფარული ოპერატიულ საგამოძიებო ღონისძიებები, მათ შორის კონსპირაციული ორგანიზაციების შექმნით.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">რეკომენდაციები<br>სტატიაში წამოყენებული პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე საინტერესო იქნება სასწავო დისციპლინებისათვის, როგორც ნარკოდნაშაულის შესწავლის კუთხით, ასევე ოპერატიული ღონისძიებების შესწავლის მხრივ.</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">შეფასება</td>
<td><u>დადებითი</u><br>სტატიაში წამოჭრილი საკითხები აქტუალური და სანტერესოა, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კუთხით შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td>უარყოფითი</td>
</tr>
<tr>
<td>ჯემალ ჯანაშია „სამართალდამცავ ორგანოთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში”.. ISSN 1512-33-08. საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“.№4 თბილისი. გამომცემლობა „ბარიტონი“.<br>7 გვ.</td>
<td colspan="2">ანალიზი<br>ავტორის აზრით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებებით უნდა განვითარდეს: პრაქტიკული ხასიათის კავშირების გაძლიერება, საქართველოში ნარკოტიკების შემოტანა-გადატანის უკვე არსებული არხების</td>
</tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | | გადაკეტვა და ახლის გაჩენის პროგნოზირება, შესაძლებლობის აღკვეთა; მნიშვნელოვანია მუშაობის გაძლიერება მოსაზღვრე ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირების სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი ქვედანაყოფების მომზადებისა და გადამზადების საქმეში უცხოელი სპეციალისტების მუდმივად ჩართვა; უცხო ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური საშუალებების ჩართვა საქართველოს ტერიტორიის გავლით სხვა ქვეყნებში ნარკოტიკების ტრანზიტთან ბრძოლის საქმეში; საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლის მრავალმხრივი მექანიზმის გამომუშავების საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების უფრო ეფექტური ჩაბმა; სტატიაში გამოთქმული მოსაზრებით მთლიანობაში პრიორიტეტი უნდა იყოს კავშრების განვითარება ახლომდებარე ქვეყნებთან, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ნარკოტიკების მწარმოებელ და ნარკობიზნესთან ბრძოლის მაღალი დონის ორგანიზაციის მქონე სახელმწიფოებთან, ასევე ნარკოტიკებთან მებრძოლ სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. | |
| | | რეკომენდაციები<br>ნაშრომი საინტერესოა სამეცნიერო და პრაქტიკული კუთხით მნიშვნელობანია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონის სწავლებისათვის ასევე პერსპექტიულია შემდგომი კვლევისათვის | |
| | | შეფასება | <u>დადებითი</u><br>ნაშრომი საინტერესო, აქტუალური და პრაქტიკული მნიშვნელობისაა. ეხმაურება ნარკოდანაშაულთან საერტაშორისო ბრძოლის თანამედროვე მოთხოვნებს გამოირჩევა აქტუალობით |
| | | | უარყოფითი |
| *შოთა ფაფიაშვილი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოძველებული კანონპროექტის გადმოტანის მანკიერი პრაქტიკა. სტანდარტული კოდი ISSN 2449- 2701 გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო - პრაქტიკულ ჟურნალ იურისტის მეთერთმეტე [11] ნომერში თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.*<br>*8 გვ.* | | ანალიზი<br>წარმოდგენილ ნაშრომში გამოკვლეული და წარმოჩენილია სისხლსი საპროცესო კოდექსის გადამწყვეტი მნიშვნელობა დანაშაულის გამოძიების, გახსნისა და სწორი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში. ავტორი არასწორად და შეუსაბამოდ მიიჩნევს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან არასათანადოდ შესწავლის და | |

| | |
|---|---|
| | გამოკვლევის გარეშე საქართველოს საგამოძიებო - სასამართლო პრაქტიკისათვის შეუსაბამო სამართლის ცალკეული ნორმებისა და დებულებების გადმოტანას და მათი პრაქტიკაში დანერგვას.<br><br>რეკომენდაციები<br>კვლევას მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხასიათი გააჩნია საინტერესოა კანონშემოქმედებითი კუთხით და შედარებითსამართლებრივი თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის ცოდნის დონის ამაღლების კუთხით.<br><br>შეფასება<br>**<u>დადებითი</u>**<br>პრობლემას წარმოადგენს უცხო ქვეყნების გამოცდილების ან კანონმდებლობის ყოველგვარი წინასწარი შემოწმების, აპრობაციის, ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი თუ პრაქტიკული კულტურის გათვალისწინების გარეშე გადმოღება. ეს ყოველთვის პრობლემებს ქმნის მართლმსაჯულების სწორ განხორციელებაში ნაშრომი აქტუალური და პრობლემაარსებითია.<br><br>უარყოფითი |
| *ვახტანგ მურადაშვილი. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები. ISSN 1512-1305. საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“.№18(20). თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 14 გვ.* | ანალიზი<br>სტატიაში განხილულია ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის პრობლემატური ასპექტები. ტრანსპლანტაციის უმნშვნელოვანეს საკაცობრიო სამედიცინო მიღწევას, თან სდევს არაერთი პრობლემატური საკითხი, როგორებიცაა: ტრანსპლანტაციის რელიგიური, ეთიკურ-მორალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები.<br>ტრანსპალანტაციით მკურნალობის, სამართლებრივი მხრივ ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურ საკითხს ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობა წარმოადგენს. აღნიშნულის მათავარი გამომწვევი მიზეზი კი - ადამიანის ორგანოებზე მუდმივად მზარდი მოთხოვნა და მწირი მიწოდებაა. რაც თავის მხრივ, მომგებიან უკანონო ბიზნეს სივრცეს - ე.წ. ,,ადამიანის ორგანოთა შავ ბაზარს,, ქმნის, საერთაშორისო დამნაშავე ელემენტებისათვის მათ შორის |

<table>
<tr>
<td rowspan="4"></td>
<td colspan="2">ორგანიზებული დანაშაულის მხრივ. ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლა კი მნიშვნელოვან ამოცანად იქცა მსოფლიო საზოგადოებისათვის და ამ კუთხით, არც საქართველოა გამონაკლისი. სტატიაში განხილულია, როგორც ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო პრაქტიკა, აგრეთვე საზღვარგარეთის წამყვანი ქვეყნების მიერ ამ საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტის გზები.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">რეკომენდაციები<br>სტატია დასმული პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე ასევე მეცნიერული დამუშავების დონის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ სილაბუსში ასევე სასცავლო დისციპლინაში სადაც წამყვან თემატიკას ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული წარმოადგენს</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">შეფასება</td>
<td><u>დადებითი</u><br>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სტატიაში განხილული დანაშაულის დაგეგმილი ცვლილებების ფონზე ნაშრომი მეტად აქტუალურია და დროული შეესაბამება თანამედროვე სისხლის სამართლის სამეცნიერო თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემატიკას</td>
</tr>
<tr>
<td>უარყოფითი</td>
</tr>
<tr>
<td>მიხეილ მამნიაშვილი, თამარ მამნიაშვილი. დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში. ISSN N2449-2701 რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი" N11 თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი". 10 გვ.</td>
<td colspan="2">ანალიზი<br>დაზარალებული ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს სისხლის საპროცესო სამართალწარმოებაში. სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებში გამოჩნდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეროვნული თუ საერთაშორისო ინიციატივები, რომლის მიზანიც აღნიშნული სფეროს პოლიტიკის სრულყოფა იყო. შედარებით მოკლე დროში დანაშაულის მსხვერპლის მიმართ კანონმდებლობამ და პრაქტიკამ განიცადა პოზიტიური ცვლილებები, რამაც განაპირობა ის, რომ მათ მიმართ ამაღლდა არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი სტატუსი. უპირველეს პრინციპად დაისახა დანაშაულის მსხვერპლთა მაქსიმალური ყურადღების მიქცევა, პატივისცემა და მხარდაჭერა. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ გაუმჯობესდა დანაშაულის მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა და</td>
</tr>
</table>

დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოინახა ფინანსური სახსრები. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი, გამოთქმულია რეკომენდაცია მისი უფლებამოსილების შემდგომი სრულყოფისა და გაფართოების შესახებ, ავტორების აზრით დაზარალებული მოწმის სტატუსთან კი არ უნდა იყოს გათანაბრებული, არამედ ის ბრალდების მხარეს უნდა წარმოადგენდეს.

რეკომენდაციები

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სტატუსი მნიშვნელოვანია სწორი მართლმსაჯულების წარმართვისათვის. სტატია იძლევა შესაძლებლობას პასუხი გაეცეს დაზალალებულის საპროცესო მდგომარეობის გარკვეული საკითხების გადაწყვეტისას წამოჭრილ მნიშვნელოვან კითხვებს. კარგი იქნება სისხლის სამართლის პროცესის შესწავლისას ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტები გაეცნონ სტატაში მითითებულ პრობლემატიკას.

| შეფასება | დადებითი |
| --- | --- |
| | თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ უკანასკნელი ათწლეულობის მანძილზე დანაშაულის მსხვერპლთა პრობლემატიკას სულ უფრო მეტი ყურადღება მიექცა საზოგადოების, კანონმდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. შემუშავებული და წამოყენებული იქნა მრავალი წინადადება, რომლის მიზანიც დანაშაულთა მსხვერპლის უკეთ დაცვას და შესაბამისად, ალტერნატიული სისტემების შესამუშავებლად იყო გამიზნული. შესაბამისად თემა აქტუალურია და მკაფიოდ განსაზღვრული პრობლემის გადაწყვეტის გზაც ნათლად შემოთავაზებული. |
| | უარყოფითი |

<table>
<tr>
<td rowspan="3">მიხეილ მამნიაშვილი გამომძიებლისა და გამოძიების ორგანიზაციის თავისებურებები საფრანგეთსა და გერმანიაში ISSN 1512- 1305 საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა" N17 (19) თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი" 18 გვ.</td>
<td colspan="2">ანალიზი<br>სტატიაში ავტორი განიხილავს საფრანგეთისა და გერმანიის, სისხლის საპროცესო სამართალის ფარგლებში გამომძიებლის და გამოძიების ორგანიზაციის თავისებურებებს. მათი არსებობის განმავლობაში კანონმდებელმა მრავალი ცვლილება განახორციელა, მიუხედავად ამისა, მაინც შენარჩუნებულია ის თავისებურებები რომლებიც ისტორიულად მათი საპროცესო კანონმდებლობებისათვის იყო დამახასიათებელი. აღნიშნულ ქვეყნებში, ძირითადად, მაგრამ არა ერთადერთი, სისხლის სამართლის საპროცესო წყაროს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, სადაც მოცემულია სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების წესთა ამომწურავი რეგლამენტაცია. საფრანგეთისა და გერმანიის საპროცესო კანონმდებლობები, ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მოდელებისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებენ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტებს, არამედ მოსამართლე ვალდებულია ყოველ კონკრეტულ საქმეზე დაადგინოს ჭეშმარიტება. ნაშრომში გადმოცემულია საფრანგეთისა და გერმანიის საპროცესო კანონმდებლობით გათვალიწინებული გამოძიებისა და გამოძიების ორგანიზაციის, გამოძიებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების რეგულაციები. გაანალიზებულია ის თავისებურებები, რომლებიც ამ მიმართულებით ამ ორ ქვეყანას ახასიათებს, გადმოცემულია ასევე იმ სუბიექტთა წრე, რომლებიც გამოძიების ჩატარების უფლებით არიან აღჭურვილნი და მათი კომპეტენცია, ასევე ყურადღებაა გამახვილებული გამოძიების დამთავრების (საქმის სასამართლო ორგანოებში წარმართვა, შეწყვეტა და ა.შ.) საფუძვლებზე.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">რეკომენდაციები<br>სტატია მნიშვნელოვანია შედარებითი სისხლის სამართლის და შედარებითი სისხლის საპროცესო სამართლის სწავლებისათვის მაგისტრატურის დონეზე. საჭიროა შესაბამის სილაბუსებში შეტანა დამატებითი ლიტერატურის სახით.</td>
</tr>
<tr>
<td>შეფასება</td>
<td><u>დადებითი</u><br>ნაშრომი შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე საინტერესოდაა წარმოჩენილი დასახული საკითხები, ამომწურავადაა მოწოდებული</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2"></td><td>შესაბამისი მასალ.ა სამართალთა და კანონთა ურთერთდაახლოების ფონზე აქტუალურია უცხო ქვეყნის გამოცდილების შესწავლა და საჭიროებისამებრ გაზიარება</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="3">მიხეილ მამნიაშვილი სისხლის საპროცესო სამართლის ცნება და სტრუქტურა ISSN N2449-2701 რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი” N11 თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 8 გვ.</td><td colspan="2">ანალიზი<br>სტატიაში ავტორი უპირველესად ცდილობს დაადგინოს სისხლის სამართლის პროცესის ცნება და მოჰყავს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული არაერთგვაროვანი მოსაზრებები. მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ სისხლის სამართლის პროცესის ცნება განმარტებულია, როგორც იურიდიული ფორმა, იმ პირის სისხლისსამართლებრივიპასუხისმგებლობის გადასაწყვეტად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, ზოგიერთი ავტორი სისხლის სამართლის პროცესს განმარტავს როგორც გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს კანონით მოწესრიგებულ საქმიანობას, ხოლო ავტორთა უმეტესობა აღნიშნული ცნების სამართლებრივი ურთიერთობის სისტემიდან გამომდინარე, ამატებს ასევე, პროცესის სხვა მონაწილეთა საქმიანობასაც, ამით სავსებით სამართლიანად მათ სურთ ხაზი გაუსვან იმ გარემოებასაც, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში გარდა სახელმწიფო ორგანოებისა, მონაწილეობას ღებულობენ ასევე სხვა პირებიც: დაზარალებული, ბრალდებული, ადვოკატი, თარჯიმანი და ა.შ. სტატიაში დასაბუთებულია, რომ უმჯობესია ”სისხლის სამართლის პროცესს’’ ეწოდოს ”სისხლის საპროცესო სამართალი’’, მეტიც, უმჯობესია ასევე თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრდეს ტერმინი „სისხლის საპროცესო სამართალწარმოების’’ ცნება, რაც მეტად სწორად ასახავს სისხლის საპროცესო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დარგისა და დისციპლინის შინაარსსა და რაობას.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>სტატია საინტერსოა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონეზე სცავლების მხრივ მოყვანილი დებულებები მეტ სიღრმისეულ ცოდნას შესძენს სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>ნაშრომში საინტერესოდაა</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | ჩამოყალიბებული სისხლის საპროცესო სამართლის დებულებები ახლებური ხედვით და კუთხით განსაკუთრბით დარგის და კანონმდებლობის სახელწოდების ახლებური ფორმით. ჩამოყალიბების მხრივ თემა აქტუალური და საინტერესოა<br><br>უარყოფითი |
| *მიხეილ მამნიაშვილი, თამარ მამნიაშვილი. მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულების არსი და მნიშვნელობა ISSN 1512-0538 ჟურნალის დასახელება; რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი “ბიზნეს-ინჟინერინგი” 3-4 თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 6 გვ.* | ანალიზი<br>მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებად გვევლინება მოწმის ჩვენება. ნაშრომში განმარტებულია მოწმის სტატუსი მისი უფლება მოვალეობები საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. ნაშრომში გადმოცემულია მოწმის ჩვენების მტკიცებულებითი მნიშვნელობა, აქცენტი გაკეთებულია მოწმის არაპირდაპირი ჩვენების მნიშვნელობაზე, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით მოყვანილია შესაბამისი დასკვნები, მიმოხილულია ამ მიმართულებით საზღვარგარეთის (ანგლოსაქსური, კონტინენტური) ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა. ნაშრომში წარმოდგენილია შემთხვევები, როდესაც მოწმის ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, მაშინ, როდესაც მოწმე ვერ უთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს. ავტორი მარტებულად განიხილავს შემთხვევებს, როდესაც დაუშვებლად ითვლება მოწმის ისეთი ჩვენებაც, თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები. ნაშრომში, საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით გაანალიზებულია მოწმის ჩვენების მნიშვნელობა და ის უარყოფითი ფაქტორები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს მიერ მათ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.<br><br>რეკომენდაციები<br>ნაშრომი იძლევა მნიშვნელოვან ცოდნას მოწმის და მისი ჩვენების არსზე და მნიშვნელობაზე. ზედმიწევნით არის წარმოჩენილი განსახილველი საკითხები, |

| | |
|---|---|
| | რაც დააინტერესებს საუნივერსიტეტო სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებს<br>შეფასება — **<u>დადებითი</u>**<br>ნაშრომი შეესაბამება ქართული საპროცესო სამართლის უახლოეს თეორიულ და პრაქტიკულ შეხედულებებს. ნაშრომი ზედმიწევნით განიხილავს პრობლემურ საკითხებს და წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციებს<br>უარყოფითი |
| | |
| *კობა ჩიხლაძე ბრალდებულის მიმალვის საფრთხე, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. ISSN 1512-1305 საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“. 18(20) თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 7 გვ.* | ანალიზი<br>ავტორი ნაშრომში უპირველესად გვაძლევს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არსს, სისხლის სამართლის პროცესში სამართალწარმოების განხორციელებისას, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი გამოირჩევა დიდი მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ მათი გამოყენება უნდა განხორციელდეს დასაბუთებულად და შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომელიც ცალსახად უნდა ეყრდნობოდეს კანონის მოთხოვნათა სრულ დაცვას. მნიშვნელოვანია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არსებული საფუძველი არ ზღუდავდეს ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს აგრეთვე იყოს მართლზომიერი, პროპორციული და დასაბუთებული. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. პრაქტიკაში მიმალვის საფრთხე მიეკუთვნება სასამართლოების მიერ დაპატიმრების გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ხშირად გამოყენებად საფუძველს. მიმალვა თავისი შინაარსიდან |

| | | |
|---|---|---|
| | გამომდინარე გულისხმობს მომავალზე ორიენტირებულ საფრთხის შემცველ ვარაუდს, რომ პირი თავს აარიდებს საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობასა და სასამართლოში გამოცხადებას. აღსანიშნავია რომ ბუნებაში არ არსებობს სტანდარტული ზოგადი კრიტერიუმები რომელიც პირის მიმალვის საფრთხეს დაადგენდა, იგი საქმის ყველა გარემოების ანალიზის, ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასების საფუძველზე უნდა დადგინდეს, კერძოდ, მიმალვის საფრთხის არსებობის შესაფასებლად აუცილებელია პირისთვის შერაცხული ქმედების არსის და სიმძიმის, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, არამედ სხვა გარემოებებსაც, რომელიც დაკავშირებულია ბრალდებულთან. | |
| | რეკომენდაციები<br>ნაშრომში გადმოცემული თემატიკა აქტუალურია საუნივერსიტეტო სწავლებისათვის, სისხლის სამართლის პროცესის გარკვეული საკითხების გაღრმავებული შემეცნებისათვის, ასევე დოქტრინალური და პრაქტიკული კუთხით. აუცილებელია შესაბამის სილაბუსებში მოცემული სტატიის ასახვა, როგორც დამატებითი ლიტერატურის | |
| | შეფასება | <u>დადებითი</u><br>მაშრომი შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე დასმული საკითხები აქტუალურია პრობლემა გახსნილია თეორიული და განსაკუთრებით პრაქტიკული კუთხით. სტატია შეესაბამება უახლეს დოქტრინალურ შეხედულებებს |
| | | უარყოფითი |

*მიხეილ გაბუნია არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის კრიმინოლოგიური თავისებურებები. ISSN 1512-259X სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. გამომც. საქართველოს უზენაესი სასამართლო. 6 გვ.*

ანალიზი

სტატიაში განხილულია არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის კრიმინოლოგიური თავისებურებანი. მიმოხილულია ბავშვთა და არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, ასევე, ბავშვთა და არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის პრევენციის აქტუალური საკითხები. ავტორი დეტალურად განიხილავს არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის სოციალურ შედეგებს. ვიქტიმოლოგიური ანალიზი ცხადჰყოფს, რომ არასრულწლოვანი დაზარალებულების დიდმა ნაწილმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო უცნობი ადამიანებისადმი. მათ ამას არ ასწავლიდნენ ოჯახის უფროსი წევრები. ამდენად, განსაკუთრებული ყურადღება არასრულწლოვნების ვიქტიმოლოგიურ აღზრდაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიჩინონ მშობლებმა, ოჯახის წევრებმა, უფროსმა დებმა და ძმებმა, უფროსი თაობის ოჯახის წევრებმა. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული სოციალურ მოვალეობებზეც კერძოდ უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და გულგრილობა უფროსებისა სხვისი შვილების მიმართ, სწორედ ამაზე აკეთებენ გათვლას ბოროტმოქმედნი. ავტორი ყურადრებას ამახვილებს არასრულწლოვნების ვიქტიმოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გარანტიების შექმნაზე.

რეკომენდაციები

ნაშრომში განხილული არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის პრობლემები, მათი წარმოშობის ფაქტორები და სავარაუდო, ასევე უცილობელი შედეგები წარმოდგენილია მაღალ მეცნიერულ დონეზე გაანალიზებულია საინტერესოდ განკუთვნილია საუნივერსიტეტო სწავლებისათვის და კვლევითი საქმიანობისათვის თემის აქტუალობიდან გამომდინარე. აუცილებლად გასათვალისწინებელია სილაბუსებში კრიმინოლოგიის და ვიქტიმოლოგიის განხრით

| შეფასება | <u>დადებითი</u><br>ნაშრომი აქუალურია წამოჭრილი საკითხები მოითხოვს მუდმივ კვლევას საზოგადოების განვითარების დინამიკაში პრობლემური საკითხები დასმულია მკაფიოდ |
|---|---|

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr><td></td><td>რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია ლოგიკურად და ზედმიწევნით</td></tr>
<tr><td></td><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>ლელა წიკლაური „ლიბერალური სამყარო და ერი-სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სისტემის სუბიექტის დაკნინება“. ISSN 1512-1305, საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“.№18(20). თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 8 გვ.</td>
<td>
<table>
<tr><td colspan="2">ანალიზი<br>სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ერი-სახელმწიფოსა და ლიბერალიზმის მახასიათებელი თვისებები, ერი-სახელმწიფოს მნიშვნელობის, როლისა და ფუნქციის საკითხები თანამედროვე მსოფლიოში. ავტორს მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გამოკვლეული აქვს გლობალზაციის, მსოფლიო წესრიგის ძირითადი საფუძვლები, ერი-სახელმწიფოს ფუნქციების შეცვლის მთავარი ფაქტორები პოლიცენტრულ მსოფლიო წესრიგზე გადასვლის პირობებში.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>ნაშრომი საინტერესოა საერთაშორისო ურთიერთობათა სასწავლო პროგრამებისათვის მირებული ცოდნის გაფართოვების და გარემავების კუტხით სადისკუსიო სარეფერატო ფორმატის ფარგლებში</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>ნაშრომი შესრულებულია საინტერესოდ ეხება დლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე გავნითარებულ საერთაშორისო მოვლენათა ფონზე</td></tr>
<tr><td></td><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები)<br>ჯემალ ჯანაშია “Social Control Mechanisms of Drug Crime". ISSN: 2632-1734. Journal of Current Debates in Social Sciences 8 გვ.</td>
<td>ანალიზი<br>სტატიაში მოყვანილია სამართალდამცავი უწყებების მიერ ერთი შეხედვით მარტივად რეალიზებადი, მაგრამ ნარკოდანაშაულის ჩამდენი პიროვნების შესწავლის აუცილებელი მიმართულება, ურომლისოდაც საკმაოდ რთული იქნებოდა ზემოთაღნიშნული წინმსწრები (პროაქტიური) ანუ პრევენციული მიზნობრივი ღონისძიებების გატარება ნარკოტიკების, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების შემცირების მიმართულე ბით. ავტორი ყურადრებას ამახვილებს სამარტალდამცავი ორგანოების მხრივ რესურსების უკმარისობაზე ნარკოდანაშაულის პრევენციისათვის ან მასთან ბრძოლისათვის. ხაზგასმითაა ღნიშნული პრიმინოლოგიური კვლევების ინტენსიური ჩატარების , დანაშაულის სუბიექტის</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4"></td><td colspan="2">კრიმინოლოგიური დახასიათების აუცილებლობაზე. საქართველოში ამ პრობლემის არასაკმარისად შესწავლის გამო შეზღუდულია დანაშაულისა და ანტისაზოგადოებრივი ცხოვრების წესის მიმდევარ პირთა მიმართ პროაქტიური ან პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა. ავტორი ფიქრობს, რომ აუცილებელია შემდეგი კვლევების ჩატარება: სოციალურ-დემოგრაფიული კვლევა; სისხლისსამართლებრივი და სპეციალურ-კრიმინოლოგიური დახასიათება.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>სტატია შეიცავს მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების კვლევას და შესაბამის მათი გადაწყვეტის რეკომენდაციებს ის საინტერესოა საუნივერსიტეტო სწავლებისათვის ნარკოდანაშაულის თერიული და პრაქტიკული კითხით</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>ნაშრომში განხილული საკითხები უაღრესად აქტუალურია ეხმაურება საქართველოს და საერთაშორისო თანამეგობროვბის თანამედროვე შეხედულებებს. კვლევა ჩატარებულია მაღალ აკადემიურ დონეზე მოცემულია ლოგიკური წინადადებები და დასკვნები</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="2">კობა ჩიხლაძე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ISSN 2078-3566 დნიპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ჟურნალი „ბიულეტინი" 8 გვ.</td><td colspan="2">ანალიზი<br>აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის აქტუალურია. ბოლო პერიოდში კი მოიპოვა განსაკუთრებული ინტერესი. განვითარებულმა მოვლენებმა მედიისა და სინფორმაციო საშუალებების აქტიურმა ჩართულობამ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპებში გაზარდა საზოგადოების ყურადღება აღნიშნული საკითხისადმი. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინებები მუდმივად ხდება საზოგადოების განხილვის საგანი. ამიტომაც ავტორი ზედმიწევნით იკვლევს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს პირობებს და შედეგებს.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>ნაშრომი არაა მოკლებული ინტერესს. გამოყენებადია ბაკალავრიატის დონეზე სწავლებაში სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>ნაშრომი საინტრესოა აქტუალური და პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (<u>საქართველოში</u>, უცხოეთში)<br>ჯემალ ჯანაშია „ნარკოტიკული დანაშაულის სოციალური კონტროლის მექანიზმების შიდა ეროვნული და საერთაშორისო სიტუაციური ანალიზი“. 2023 წელი 12-13 ოქტომბერი თბილისში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. გამოქვეყნდა. ”Journal of Current Debates in Social Sciences”. ISSN: 2632-1734.</td>
<td>
<table>
<tr><td colspan="2">ანალიზი<br>საკონფერენციო თემაში განხილულია ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სოციალური კონტროლის სახით. ავტორს განსაზღვრული აქვს სოციალური კონტროლის ცნება მნიშვნელობა ასევე შედასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები. სიღრმისეულად წარმოდგენილია ამ მექანიზმების სიტუაციური ანალიზი. წამოყენებულია პრობლემები მოყვანილია მათი გადაჭრის სავარაუდო ხერხები</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>საკონფერენციო თემა იმახურებს ინტერესს საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე ასევე საგულისხმოა მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>საკონფერენციო თემა აქტუალურია პასუხობს ნარკოდანაშაულთან ბრძოლის კვლევის თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამაბე მაღალ სამეცნიერო სტანდარტებს</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>კობა ჩიხლაძე. ექსპერტი ,როგორც მოწმე და მისი მნიშვნელობა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. 2023 წლის 11-12 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო. გამოქვეყნდა. დნიპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ჟურნალი „ბიულეტინი” ISSN 2078-3566</td>
<td>
<table>
<tr><td>ანალიზი<br>საკონფერენციო თემაში განხილულია ექსპერტის საპროცესო უფლებები და მოვალეობები. მოყვანილია მისი როლი პროცესუალური მოქმედებებისას. განსაკუტრებით ყურადღება გამახვილებულია ექსპერტის, როგორც მოწმის როლზე. ავტორი აანალიზებს აქტუალურ პრობლემურ შემთხვევებს, დაწვრილებით ახერხებს საინტერესო შემთხვევათა განხილვას.</td></tr>
</table>
</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="3"></td><td colspan="2">რეკომენდაციები<br>საკონფერენციო თემა მისი აქტუალობიდან გამომდინარე საინტერესოა შემდგომი კვლევისათვის, ასევე სისხლის სამართლის პროცესის უკეთ შესწავლისა და ამ დარგში ვრცელი ცოდნის მირებისათვის.</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>საკონფერენციო თემა უნდა შეფასდეს დადებითად მისი აქტუალობის, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="4">კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="4">საექსპერტო მოღვაწეობა</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="4">ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">სამეცნიერო ნაშრომების მეცნოირომიტრული მონაცემები და მკვლევართა  სამეცნიერი პროდუქტიულობის მაჩვევენებელი</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>



**დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი გაბისონია**



**დარგობრივი კომისიის მდივანი - ნინო ხოლუაშვილი**